ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ ზ 14444-11 5 12 2011წ.

დადგენილება №001428
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

05.12.2011წ. ქ.თბილისი, შარტავას 7

მე, სამსახურის უფროსმა ზვიად კერვალიშვილმა განვიხილე 2011 წლის 08 ნოემბრის №001428 მითითება და 2011 წლის 24 ნოემბრის №001428 შემოწმების აქტი შედგენილი შ.პ.ს. "აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯია"-ს (მის.: ქ. თბილისი, ქავთარაძის ქ.№1, ნაკვეთი №38/41) მიმართ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის "ა" პუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) გათვალისწინებული დარღვევისათვის.

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ქავთარაძის ქ.№1, ნაკვეთი №38/41-ში შ.პ.ს. "აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯია"-ს მიერ განხორციელდა მრავალფუნქციური სავაჭრო ცენტრის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ №01/605 29.03.2011წ. ბრძანებით შეთანხმებული პროექტის დარღვევით. კერძოდ, ±0.00 ნიშნულზე „7-7" ღერძზე „A-ლ" მონაკვეთში გაუქმებულია შვიდი კოლონა. „5-5 ღერძზე „D-D" და „F-F" ღერძებზე მოწყობილია პროექტით გაუთვალისწინებელი ორი კოლონა. „H-I" ღერძებს შორის „4-5" მონაკვეთში კიბეს შეცვლილი აქვს კონფიგურაცია. „5-7" მონაკვეთში მოსაწყობი ანტრესოლი შემცირებულია და მოწყობილია „5-6" მონაკვეთში, რითიც შემცირებულია საერთო ფართი, დაახლოებით 270კვ.მ-ით. „28-30" მონაკვეთში სამი კარის ნაცვლად მოწყობილია ორი კარი. „28-29" და „F-D" მონაკვეთებში მოწყობილია პანდუსი. „29-30" და „D-B" მონაკვეთში მოწყობილია კიბე. „1-19" მონაკვეთში გაუქმებულია ფანჯრები, ხოლო „1-2" მონაკვეთში მოწყობილია ფანჯრის ღიობი. შენობის ფასადებზე შეცვლილია ვიტრაჟების გაბარიტი და ნახატები. ასევე ფასადებზე მოწყობილია წყლის შემკრები მილები. ობიექტის წითელ ხაზზე მოწყობილია მესერული ღობე და დგარები შემდგომში ღობის მოსაწყობად. მთლიანი ტერიტორიის ნიშნული „1-I" ღერძიდან „30-30" ღერძის მიმართულებით იცვლება დაახლოებით 1.80მ-ით. „1-I" ღერძზე ფასადი მიწის ქვეშაა მოქცეული, დაახლოებით, ხოლო „30-30" ღერძზე ფასადი მიწიდან ამოსულია 0.7მ-ით. ტერიტორიაზე „1-30" ფასადის წინ აშენებულია კაპიტალური [illegible] დაახლოებით 30კვ.მ. „A-W" ფასადის მხრის წინ ეზოში [illegible] გამწვანების ხოლოსთვის განკუთვნილი ნიშების გაბარიტი და [illegible]

სამსახურის სპეციალისტის მიერ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2011 წლის 08 ნოემბერს შედგენილი იქნა მითითება №001428 (მხარეს ჩაბარდა ობიექტზე განთავსებით 14 (თოთხმეტი) დღიანი ვადა ობიექტის პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2011 წლის 24 ნოემბერს "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №001428 (მხარეს ჩაბარდა ობიექტზე განთავსებით 2011 წლის 24 ნოემბერს), რომელშიც დაფიქსირდა მითითებით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

2011 წლის 30 ნოემბერს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს. საქმის განხილვაზე არ გამოცხადდა შ.პ.ს. "აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯია"-ს წარმომადგენელი.

2011 წლის 5 დეკემბერს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით კვლავ გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს. საქმის განხილვაზე გამოცხადდა შ.პ.ს. "აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯია"-ს წარმომადგენელი მოქ. დავით იმნაძე (პირადი №01009002964), რომელმაც დაადასტურა მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარება, მათზე აღნიშნულ თარიღებში. მანვე განაცხადა, რომ დარღვევების გამოსწორებას აპირებენ პროექტის კორექტირების გზით. საქმეშია, რწმუნებულება, გაცემული შ.პ.ს. "აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯია"-ს დირექტორის მაქსიმს დოზორცევსის მიერ 01.12.2011წ.

ობიექტი გადამოწმებულ იქნა სამსახურის მთ. სპეციალისტის კ. გიორობიანის მიერ, რომელმაც დააფიქსირა მითითებით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, შ.პ.ს. "აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯია"-ს მიერ ჩადენილია "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის 23-მუხლის "ა" პუნქტის "ა.გ" ქვეპუნქტით (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ქავთარაძის ქ.№1, ნაკვეთი №38/41-ში შ.პ.ს. "აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯია"-ს მიერ განხორციელდა მრავალფუნქციური სავაჭრო ცენტრის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ №01/605 29.03.2011წ. ბრძანებით შეთანხმებული პროექტის დარღვევით. კერძოდ, ±0.00 ნიშნულზე „7-7" ღერძზე „A-ლ" მონაკვეთში გაუქმებულია შვიდი კოლონა. „5-5 ღერძზე „D-D" და „F-F" ღერძებზე მოწყობილია პროექტით გაუთვალისწინებელი ორი კოლონა. „H-I" ღერძებს შორის „4-5" მონაკვეთში კიბეს შეცვლილი აქვს კონფიგურაცია. „5-7" მონაკვეთში მოსაწყობი ანტრესოლი შემცირებულია და მოწყობილია „5-6" მონაკვეთში, რითიც შემცირებულია საერთო ფართი, დაახლოებით 270კვ.მ-ით. „28-30" მონაკვეთში სამი კარის ნაცვლად მოწყობილია ორი კარი. „28-29" და „F-D" მონაკვეთებში მოწყობილია პანდუსი. „29-30" და „D-B" მონაკვეთში მოწყობილია კიბე. „1-19" მონაკვეთში გაუქმებულია ფანჯრები, ხოლო „1-2" მონაკვეთში მოწყობილია ფანჯრის ღიობი. შენობის ფასადებზე შეცვლილია ვიტრაჟების გაბარიტი და ნახატები. ასევე ფასადებზე მოწყობილია წყლის შემკრები მილები. ობიექტის წითელ ხაზზე მოწყობილია მესერული ღობე და დგარები შემდგომში მოსაწყობად. მთლიანი ტერიტორიის ნიშნული „1-1" ღერძიდან „30-30" ღერძისკენ მიმართულებით იცვლება დაახლოებით 1.80მ-ით. „1-1" ღერძზე ფასადის ქვეშაა მოქცეული, დაახლოებით 1.1მ-ით, ხოლო „30-30" ღერძზე ფასადის მიწიდან ამოსულია 0.7მ-ით. სამშენებლო ტერიტორიაზე „1-30"

აშენებულია კაპიტალური შენობა, დაახლოებით 30კვ.მ. „A-W" ფასადის მხრის წინ ეზოში შეცვლილია გამწვანების ზოლოსთვის განკუთვნილი ნიშების გაბარიტი და ფორმა.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, 2009წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტით, მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით, მე-13 მუხლის 14-ე პუნქტით, მე-13 მუხლის 17 პუნქტით, მე-13 მუხლის 18-ე პუნქტით, მე-14 მუხლის მე-3 პუნქტითა და 23 მუხლის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტი

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯია" დაჯარიმდეს 4.000 (ოთხიათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. "აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯია"-ს დაევალოს, "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-1 პუნქტის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22,** საბიუჯეტო შემოსავლის **სახაზინო კოდი: 300773263,** გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯია"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით "დაკისრებულის ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში (დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში) დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქ. თბილისის მერიაში (შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსი კერვალიშვილი

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი. 0160, შარტავას ქ. 7 ტელ: 378501, 378396

მ ი თ ი თ ე ბ ა № 001428

შედგენის თარიღი: 03.11.2014

სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო დამრღვევის მიმართ სამართალდარღვევის საქმის წარმოებას იწყებს მითითების გაცემით („ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი);

მითითება წარმოადგენს ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციის ან სამშენებლო საქმიანობაზე სხვა სახელმწიფო უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამრღვევის მიმართ გაცემულ შენიშვნას, განსაზღვრულ გონივრულ ვადაში ნებაყოფლობით შეასრულოს მასში აღნიშნული პირობები სამშენებლო სამართალდარღვევის გამოსასწორებლად („ტექნიკური საფრთხის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის "ყ" პუნქტი);

დამრღვევის დასახელება და მისამართი

ობიექტის დასახელება და მისამართი

მითითების გაცემის მომენტში მშენებლობის ეტაპი

დარღვევის სახეობა, შინაარსი და გამოსწორების მიზნით მისაღები ზომები

რაც გათვალისწინებულია "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის _____ მუხლის _____ ნაწილით. საჯარიმო სანქცია აღნიშნულ დარღვევაზე განისაზღვრება _____ ლარით. დარღვევის გამოსწორების ვადა _____ დღე.

მითითებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ამოწმებს დამრღვევს, რაზედაც დგება შემოწმების აქტი. შემოწმების აქტში აისახება ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობა მითითების პირობებთან მიმართებით ა) მითითება შესრულდა; ბ) მითითება არ შესრულდა; გ) მითითება არადროულად სრულდება;

შემოწმების აქტის საფუძველზე თუ აქტში დაფიქსირებულია დარღვევა სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას:

ა) დამრღვევის დაჯარიმების შესახებ; ბ) დამრღვევის დაჯარიმებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის და უნებართვო დემონტაჟის შეჩერების შესახებ; გ) დამრღვევის დაჯარიმებისა და კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივი დემონტაჟის, მშენებარე შენობა-ნაგებობების მშენებლობის მთლიანი ან ნაწილობრივი შეჩერების და დემონტაჟის შესახებ („ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტი);

სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ,თუ ა) დარღვევები გამოსწორებულია და მითითება შესრულდა; ბ) განხილვისას გამოვლინდა სამშენებლო სამართალდარღვევის გამომრიცხავი გარემოებები; გ) შესაბამისი ორგანოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ობიექტის ლეგალიზების შესახებ,დ) არ არსებობს „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული დადგენილების მიღების საფუძველი („ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-8 პუნქტი);

მითითების გამცემი (თანამდებობა, სახელი, გვარი, ხელმოწერა)

_____

_____

მითითება ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა)

_____

თუ ვერ ხერხდება მხარისათვის მითითების, შემოწმების აქტის, უწყების ან დადგენილების გაცნობა (პირდაპირი ჩაბარებით), გაცნობად (ჩაბარებად) ჩაითვალოს მათი განთავსება მითითებაში, შემოწმების აქტში, უწყებაში ან დადგენილებაში მითითებული ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე („ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-15 პუნქტი).

მითითება გაეცნო (ჩაბარდა) დამრღვევს თვალსაჩინო ადგილზე განთავსების გზით.

(ზუსტად მიეთითოს თვალსაჩინო ადგილი)

_____

_____

განთავსების თარიღი

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახური გაფრთხილებთ, რომ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად

1. დამრღვევმა ჯარიმა უნდა გადაიხადოს დაჯარიმებიდან **30** დღის ვადაში.

2. დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ. **საურავის თანხა განისაზღვრება დაკისრებული ჯარიმის ოდენობით** (მაგალითად, თუ პირს დაეკისრება ჯარიმა უნებართვო მშენებლობისთვის, რომელიც განისაზღვრება 10 000 ლარით და მის მიერ 30 დღის ვადაში არ განხორციელდება ამ თანხის გადახდა, დაეკისრება საურავი 10 000 ლარის ოდენობით).

3. ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, **ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით** (მაგალითად, თუ პირს დაეკისრება ჯარიმა უნებართვო მშენებლობისთვის, რომელიც განისაზღვრება 10 000 ლარით და მის მიერ 30 დღის ვადაში არ განხორციელდება ამ თანხის გადახდა, დაეკისრება საურავი 10 000 ლარის ოდენობით. გარდა ამისა, თუ დარღვევა არ გამოსწორდება ჯარიმის დაკისრებიდან სამი თვის ვადაში დამრღვევი დაჯარიმდება 30 000 ლარით);

4. შემოწმების აქტში დაფიქსირებული შედეგის მიუხედავად, თუ საქმის განხილვის მომენტისთვის დარღვევა გამოსწორებული იქნება (მაგალითად, განხორციელდება უნებართვოდ ნაწარმოები მშენებლობის დემონტაჟი), დამრღვევს მიმართ აღარ გატადება საჯარიმო სანქციები და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება შეწყდება.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახური გაფრთხილებთ, რომ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად

1. ჯარიმა უნებართვო მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან/და დემონტაჟის წარმოებისთვის განისაზღვრება – 10 000 ლარით.

2. ჯარიმა სანებართვო პირობების დარღვევისთვის II კლასის შენობა-ნაგებობებისთვის განისაზღვრება – 2000 ლარით. III კლასის შენობა-ნაგებობებისთვის - 3000 ლარით. IV კლასის შენობა-ნაგებობებისთვის – 4000 ლარით.

3. ჯარიმა მშენებლობის შეჩერების შესახებ სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველი ორგანოს დადგენილების შეუსრულებლობისთვის განისაზღვრება – 5000 ლარით.

4. ჯარიმა მშენებარე ობიექტის დადგენილი წესის დარღვევით მიტოვებისთვის განისაზღვრება – 10 000 ლარით.

5. ჯარიმა მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევისთვის განისაზღვრება – 3000 ლარით.